

.....

# სამოქალაქო საზოგადოება ციფრულ ეპოქაში

.....

## რობერტა ბ. ღენსი

სამოქალაქო საზოგადოების ქმედების და მსჯელობის დიდი ნაწილი, მიუხედავად პოლიტიკური მოსაზრებებისა, კულტურის ან ადგილმდებარეობისა, განასახიერებს იმას, რაც ყოველდღიური ცხოვრების სახელგანთქმულმა ფილოსოფოსმა მიშელ დესერტუმ ასე იწინასწარმეტყველა: „ტელეკომუნიკაციამ და მასთან დაკავშირებულმა პრაქტიკებმა სამეტყველო სივრცის სრული რეორგანიზაცია მოახდინა“. მიუხედავად იმისა, რომ ფილოსოფოსი ამას ჩვენ გარშემო არსებულ „კომუნიკაციის ოკეანებზე“ ამბობდა, იგი ასევე აღნიშნავდა, რომ ოკეანის ტალღები და დინებები კიდევ უფრო ძლიერდება ისეთი ელექტრონული მედიის გამოყენებით, როგორცაა ტელეფონი, რადიო და ტელევიზია (1998, 252–53). ჩვენ მონმენი ვხდებით, თუ როგორ ფარავს სამეტყველო სივრცეს ელექტრონულ ქსელები, როგორც კერძოს, ასევე საჯაროს, ადგილობრივსა თუ ტრანსლოკალურს. კვანძები, კავშირები და დინებები, რაც ახასიათებს ქსელებს, როგორც ონლაინ, ასევე ოფლაინ რეჟიმში (Barney 2004) აძლიერებს და პოტენციურად ანაწილებს კომუნიკაციურ ძალაუფლებას. თანამედროვე ელექტრონული ონლაინ ფორმებით, ისინი საშუალებას აძლევს მილიონობით ადამიანს მთელს მსოფლიოში გაავრცელონ, გაანაწილონ, გამოფინონ და გაცვალონ ინფორმაცია, სურათები, მუსიკა, ვიდეო, ტექსტები, საუბრები და მონაცემები.

ინფორმაციის, კომუნიკაციებისა და ტექნოლოგიური რესურსების (ICTs) მრავალგვარმა გამოყენებამ აფიქრებინა ციფრული ტექნოლოგიების ენთუზიასტებს, რომ გაზრდილი წვდომა კომუნიკაციის ახალ ფორმებზე უზრუნველყოფს ძალზე საჭირო პანაცეას სამოქალაქო ჩართულობისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების პრობლემის გადასაჭრელად ოცდამეერთე საუკუნეში: ციფრული ეპოქა ჩვენ წინაშეა, და ეჭვგარეშეა, რომ ეგრეთ წოდებული ინფორმაციული საზოგადოება გააძლიერებს დემოკრატიულ საჯარო სფეროებს, რომლებიც ახლა უკვე ელექტრონულ საშუალებას გამოიყენებენ კავშირისთვის. რასაკვირველია, ეს აღტყინება მთლად ახალი არ არის. სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებზე ICT-ების გავლენის კვლევას და მის შესახებ მსჯელობას, ძალზე ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამჟამინდელი კონფიგურაცია მხოლოდ იმეორებს იმ მომენტებს,

რომლებმაც საზეიმოდ აღნიშნეს ტექნიკური ინოვაციების ახალი ტალღები. სულ მცირე 1950 წლიდან მოყოლებული, როდესაც პირველად გამოჩნდა კომპიუტერი, სამეცნიერო, ჟურნალისტური, ბიზნეს და რეპორტაჟის სხვა ფორმები დეტალურად მოგვითხრობს იმ მრავალი გზის შესახებ, რომელთა მეშვეობითაც ტექნოლოგიები გავლენას ახდენენ სამუშაო ადგილებზე, პირად ურთიერთობებზე და მთავრობაში მიმდინარე პროცესებზე. თითოეულ მათგანს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს იმ მასალის გამდიდრებაში, რომელიც ეხება ეგრეთ წოდებულ კომუნიკაციის რევოლუციას ან ქსელურ საზოგადოებას. სამოქალაქო საზოგადოებისა და ICT-ების თვალსაზრისით, დისკურსიული დინებების ეს ორი ნარჩენი ორ ძირითად ფორმას იძენს. პირველია უტოპიური მგრძობელობა, რომელიც ამტკიცებს, რომ კომპიუტერების, ინფორმაციის, ცოდნის, ქსელების და ახლახან უკვე მობილური კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარებამ და ურთიერთქმედებამ ყველაფერი სასიკეთოდ შეცვალა და სამოქალაქო საზოგადოებას ახლა ისღა დარჩენია, რომ გაითავისოს და აჰყვეს ამ ტექნოლოგიურ ცვლილებებს. მეორე უფრო კრიტიკული ხედვაა, რომელიც უპირისპირდება ენთუზიასტებს და ამტკიცებს, რომ საზოგადოებები ძირეულად არ შეცვლილა – უბრალოდ ევოლუცია განიცადეს და მოერგნენ ტექნოლოგიური ინოვაციების ერთმანეთის მიყოლებულ ტალღებს. ძალთა შორის ურთიერთობა ისევ ნარჩუნდება ისტორიულად დომინანტური ტენდენციებისა და ინსტიტუტების მეშვეობით, ხოლო უთანასწორობა ისევ იმარჯვებს მიუხედავად იმ გაზრდილი შესაძლებლობებისა, რომლებიც საშუალებას აძლევს ადამიანებს გამოიყენონ ახალი ელექტრონული სამომხმარებლო პროდუქტი და სერვისები (Bucy 2004). სკეპტიკოსებისთვის სწორედ ეს სიხისტე და რიგიდულობა უშლის ხელს ICT-ების ჭეშმარიტად ტრანსფორმაციული ეფექტის გავლენას არა მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოებაზე, არამედ ზოგადად, საზოგადოებაზეც.

წინამდებარე თავში ვამტკიცებთ, რომ ზემოთ აღწერილ მოსაზრებებზე საჭიროა დაბალანსებული პასუხის მოძებნა, რადგან სამოქალაქო საზოგადოების პოტენციური ამ ციფრულ ეპოქაში ყველაზე საინტერესო კითხვებსა და შესაძლებლობებს ამროვნების ორ პოლუსს შორის ათავსებს. მათთვის, რომელიც ამ ორიდან რომელიმე მოსაზრებას ემხრობიან, იქნება ეს საზეიმო თუ სკეპტიკური, ხშირად ძნელია მთელი სიცხადით გააცნობიერონ მეორე მხარის პოზიცია და მოსაზრებები. ნაწილობრივ ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ორივე პოზიცია მძლავრ არგუმენტებს ფლობს. „სიმართლე“ დამოკიდებულია კონკრეტულ კონტექსტზე და განსაკუთრებით მისანვდომობის დონეზე, უნარ-ჩვევებზე და ელექტრონული კომუნიკაციის წყაროებზე (Warschauer 2004). ამ ფაქტორის გათვალისწინებით, წინამდებარე თავი მოკლედ მიმოიხილავს ორივე მოსაზრების გამამყარებელ არგუმენტებს და ამავე დროს აცნობიერებს იმ როლს, რომელსაც კონტექსტი და რესურსები თამაშობს სამოქალაქო საზოგადოების აქტორების მიერ ელექტრონული მედია რესურსების გამოყენებისადმი მიდგომის ჩამოყალიბებაში. მე ვამტკიცებ, რომ სამოქალაქო საზოგადოება და ICT-ები ორმხრივ ურთიერთობაში იმყოფებიან ერთმანეთთან: პოლიტიკა და კომუნიკაციები ხელჩაკიდებულები მოქმედებენ. სწორედ ამიტომ, რომ ყურადღება იმ როლის მიმართ, რომელსაც ICT-ები ასრულებენ პოლიტიკურ კომუნიკაციაში გამომდინარეობს სამოქალაქო საზოგადოებისა და ICT-ების შესახებ მიმდინარე თანამედროვე დისკურსიდან. თუმცა, სიბეცე იქნება, თუ მხოლოდ იმაზე გავამახვილებთ ყურადღებას, თუ როგორ იყენებენ ელექტრონულ მედიას ინსტრუმენტულად სხვადასხვა სამოქალაქო და პოლიტიკური მიზნებისთვის, რადგან ამგვარი ორიენტაცია ყურადღების მიღმა ტოვებს იმ აქტორებსა და ინსტიტუტებს, რომლებიც ხშირად ჩუმად და შეუმჩნევლად აგრძელებენ ელექტრონული მედიის ინსტრუმენტების, არქიტექტურისა და სისტემების ფლობას, შექმნას, კონტროლს, რეგულირებას და მონიტორინგს. (Bollier 2003). შესაბამისად, კომუნიკაციის პოლიტიკა და ICT-ები წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ძირითად საკითხებს, რომლებიც საბოლოო ჯამში გადაწყვეტს ექნება თუ არა სამომავლოდ ICT-ებს სამოქალაქო საზოგადოების ტრანსფორმაციული პოტენციალი.

## 1. შეუძლია თუ არა ახალ გეგმობრივს სამოქალაქო საზოგადოების გაკლავნა?

უტოპიური მგრძობელობის დამცველები ამტკიცებენ, რომ ICT-ებს შეუძლია გარდაქმნას ყველაფერი, მათ შორის „მე“-ს ცნება და ადამიანური ურთიერთობები, კორპორატიული მთავრობების დიზაინი და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები, პროფესიებისა და სამუშაო ადგილების კონფიგურაციები, პოლიტიკური წარმომადგენლობისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზების დინამიკა, მთავრობის ფუნქციონირება და მთელი ეკონომიკური და საზოგადოებრივი სტრუქტურებიც კი. ასეთი ენთუზიასტები ავითარებენ ემანსიპატორულ რიტორიკას, რომლის მიხედვით ახალი ტექნოლოგიები არა მხოლოდ აძლიერებს მათ მომხმარებლებს, არამედ ასევე გარდაქმნის იმ კონტექსტებს, რომლებშიც ადამიანები მოქმედებენ და ძლიერდებიან. ეს მტკიცებები კიდევ უფრო მყარდება მითებით, რომლებიც ხელახლა იბადება ინოვაციების ყოველ ახალ ტალღასთან ერთად და აფიქრებინებს ბევრს, რომ ეს „შემდეგი“ იქნება განსხვავებული მისი წინამორბედებისგან. ეს შეცვლის ყველაფერს და იქნება გადამწყვეტი. ოპტიმისტებისთვის ინოვაციების ახალ ტალღებთან დაკავშირებული დისკურსი – კომპიუტერის გამოგონება 1960-იანებში, ინტერნეტი 1990-იანებში და სოციალური მედიის, მაგალითად ფეისბუქის, ტვიტერის და სხვა ელექტრონული მედია ინსტრუმენტების მომხსახველი ეფექტი – იმ ალტაცებასთან ერთად ფეთქავს, რომელიც აძნელებს ყურადღების მიპყრობას იმ ფაქტზე, რომ „ახალის“ წინა ტალღები ისე მოვიდა და წავიდა, რომ ისეთი არაფერი დაუტოვებიათ, რაც ცოტათი მაინც ნააგავს ნამდვილ ან მნიშვნელოვან სოციალურ ტრანსფორმაციას. მაშ, რა ამყარებს წარმოდგენას იმის შესახებ, რომ მხოლოდ ტექნოლოგიებს შეუძლია რევოლუციების მოხდენა საზოგადოებაში, პოლიტიკისა და ბაზრებზე? რა აიძულებს ამდენ ახალმოსულს ირწმუნოს ამგვარი ოპტიმისტური დისკურსი?

პასუხის ერთი ნაწილი უნდა ვეძიოთ იმ კონცეფციების მაცდურ მიმზიდველობაში, რომელიც ყველაზე კრიტიკულ წარმოსახვის უნარსაც კი აცდუნებს ხოლმე. ყველაზე ნათელი მაგალითებია, მაგალითად, „კიბორგი“ ფემინისტი თეორეტიკოსის დონა ჰარაუისგან (Donna Haraway, 1990), „კიბერსივრცის“ კონცეფცია მწერალ უილიამ გიბსონის (William Gibson, 2004) ავტორობით და ამ კონცეფციების გავრცელება სხვა ინტერპრეტაციებში, რომელიც გვთავაზობს ისეთ „კიბერსაზოგადოებას“ და „ვირტუალურ საჯარო სფეროს“, ასევე, „ქსელურ საზოგადოებას“, „ცოდნის საზოგადოებას“, „ბლოგოსფეროსა“ და „კრებადობის კულტურას“. (ამ წარმოდგენებიდან ყველაზე ძლიერი, რომელიც უკავშირდება პოლიტიკურ კომუნიკაციას, არის ელექტრომაგნეტიკური კიბერსივრცის ცნება. იურგენ ჰაბერმასის (1991) დემოკრატიული საჯარო სივრცის გაგების მსგავსად, რომელიც დემოკრატიისა და პოლიტიკური კომუნიკაციის შესწავლის ახალ ნორმად იქცა, კიბერსივრცის იდეა ასევე აღწერს სოციალური ტრანსფორმაციის წარმოსახვითი პოტენციალის დიდ პეიზაჟს. ბევრისთვის ელექტრონული სივრცეები, მაგალითად ინტერნეტი, ცვლილებების აგენტია: თითოეული სივრცე გვთავაზობს საშუალებას, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია გადავლახოთ იდენტობის, სივრცის, დროისა და ერი-სახელმწიფოს შეზღუდვებიც კი. უკვე გაერთიანებული საკომუნიკაციო გარემოს ბევრი დეკლარაცია უკვე წინასწარმეტყველებს ტექტონურ გადანაცვლებას, რომელიც გაათავისუფლებს კომუნიკაციის ელექტრონული ოკეანის ახალ ტალღებს. როგორც ნამდვილი ცუნამის შემთხვევაში ხდება ხოლმე, ჩვენ გვირჩევენ თავი დავაღწიოთ უბედურებას, გვექონდეს მოლოდინი იმისა, რომ ჩვენი ცხოვრება სამუდამოდ შეიცვლება და ველოდოთ იმას, თუ როგორ მოხდება ყველაფრის ხელახლა აშენება. თუმცა, ამგვარი დასკვნები, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმას, თუ რეალურად როგორ ხდება ამგვარი კონვერგენცია. ბევრი უბრალოდ ასკვნის, რომ ისინი შეუქცევადია და ასევე უნდა მივიღოთ.

სამეცნიერო ლიტერატურა წალეკილია ამ თემისადმი მიძღვნილი ნაშრომებით. ქლეი შირკი (Clay Shirky, 2008) ერთ-ერთია ოპტიმისტების ახალი თაობის ყველაზე ცნობილი „დიგერატი“ წინასწარმეტყველებიდან, რომელიც ძირითად ყურადღება ინტერნეტის ტრანსფორმაციულ ძალაზე ამახვილებს. შირკის ნაშრომები და ლექციები ეძღვნება იმ მნიშვნელობას, რომელიც ენიჭება მაგალითად ღია წყაროების პროგრამულ უზრუნველყოფას, ვებ-ეკონომიკას და სოციალურ კომპუტირებას სოციალური ურთიერთობებისა და შესაბამისად, ინსტიტუტებისა და თვითონ საზოგადოების ტრანსფორმაციისთვის. სოციალურ მედიასა და სოციალური კავშირების ინსტრუმენტებთან – როგორცაა ბლოგები, კორპორატიულ სერვისებთან – მაგალითად, იუთუბი და შენახვის/გადახვევის ტექნოლოგიებთან – მაგალითად პოდკასტები, დაკავშირებული მისი ენთუზიამში ოპტიმისტების მითოლოგიის თანამედროვე ვერსიას (Li and Bernoff 2008). ცხადია, სოციალურ მედიას აქვს სამოქალაქო და პოლიტიკური შედეგები, განსაკუთრებით, ტრანზაქციის ხარჯების შემცირებასა და ინფორმაციის გაცვლის სიჩქარისა და დაფარვის გაზრდის თვალსაზრისით. ეს არის ის უპირატესობები, რომლებსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებისთვის კამპანიებისა და თანხების მოძიების ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების დროს. მაგალითად, სოციალური მედიის წყალობით მოსახერხებელი ხდება არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარება, როდესაც ისინი ცდილობენ ისეთი ბუნებრივი კატასტროფების შედეგების შემსუბუქებას, როგორც 2010 წლის ჰაიტის მიწისძვრა იყო. დახმარების განწევა უბრალო ტექსტური შეტყობინებითაც შეიძლება, რომელიც კონკრეტულ თანხას რიცხავს მობილურის ბალანსიდან (DeBrosse 2010). ტექნოლოგია, რასაკვირველია, ძალზე მოსახერხებელი აღმოჩნდა 2008 წლის ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნების დროს იმ ამომრჩევლებისთვის, რომლებმაც მოუწიათ ხმის ადრე მიცემა, ან არ იმყოფებოდნენ ოფიციალური საარჩევნო უბანზე (Leval and Marsico. 2008). (Peirce 2000). შეერთებულ შტატებში, ბრაზილიაში, ინდოეთში, – კიდევ ბევრ ქვეყანაში ადამიანებს ასევე შეუძლიათ იოლად – ერთი დანკაპუნებით ისარგებლონ ელექტრონული მმართველობისთვის შექმნილი ვებპორტალებით და მიიღონ ინფორმაცია საჯარო სერვისებისა და სხვა მომსახურების შესახებ.

სწორედაც რომ დროული ელექტრონული კომუნიკაციის სხვა მაგალითებითაც უხვადაა გაჯერებული თანამედროვე კულტურის ყველა ასპექტი, ყოველ შემთხვევაში მაღალი შემოსავლის მქონე საზოგადოებებში: გართობა, ჯანდაცვა, საბანკო საქმე, განათლება, ტრანსპორტი და როგორც უკვე აღინიშნა, სამოქალაქო საზოგადოების აქტივიზმიც. ბოლოდროინდელი ფილმი „ათი ტაქტიკა ინფორმაციის აქტივიზმად გადაქცევისთვის“ გვიყვება ადამიანის უფლებების ათი დამცველის ისტორიას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, რომლებმაც წარმატებით შეძლეს ინფორმაციისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება დადებითი ცვლილებების მისაღწევად.<sup>1</sup> სამუშაო შეხვედრებზე, ონლაინ სემინარებზე, სიმპოზიუმებსა და ინტენსიურ კურსებზე, სადაც ადამიანებს შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ ინფორმაცია ახალი ინსტრუმენტების შესახებ, ხშირად ისმის ამ ტექნოლოგიების მონაწილეობრივი პოტენციალის ქება. მაგალითად, New Organizing Institute-ი (NOI) ამერიკის შეერთებულ შტატებში აწყობს ე.წ. ვებინარებს, რომლებიც ძირითადად აქცენტირებულია ონლაინ საორგანიზაციო ტექნიკებზე. ვებსაიტის მიხედვით, NOI „არის ერთადერთი პროგრესული ტრენინგ-პროგრამა, რომელიც აერთიანებს უახლეს ონლაინ საორგანიზაციო ტექნიკებს, პოლიტიკურ ტექნოლოგიებსა და სავლელ ლიდერობას. ინსტიტუტი აკავშირებს ორგანიზატორებს ახალ საორგანიზაციო რესურსებს, რაც საშუალებას მისცემს მათ უფრო ეფექტიანად დაუჭირონ მხარი პროგრესულ მოძრაობას“.<sup>2</sup> გარდა ამისა, მეცნიერები, ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები, განმანათლებლები, მედია მენეჯერები, სოციალური მოძრაობების ორგანიზატორები, ჟურნალისტები და ბევრი სხვა ერთად იკრიბება, რათა იმსჯელონ ციფრული მედიის ტრანსფორმაციული პოტენციალის შესახებ „გააკეთე შენ თვითონ“ (DIY)



მოქალაქეობისა და DIY მედიის ეგიდით. ამ ახალი მედია პრაქტიკებიდან ბევრს „ტაქტიკური მედიის“ სახელით მოიხსენიებენ, ხოლო მათ პროდიუსერებს „მოდერებს“, „ჰაკტივისტებს“, „პროზიუმერებს“, „რემიქსერებსა“ და „იუზერ-გენერატორებს“ უწოდებენ.<sup>3</sup>

ჰელსინკისა და ტოკიოში 1990-იან წლებში (Rheingold 2003) Dot.com-ის ბუმიდან და უსადენო „ედჰოკრატით“ (“ad hoc raticies”) გამონვეულმა დისკურსიულმა ტალღამ ასევე გამოიწვია ინტერნისი იმ შთამბეჭდავი პირადი ისტორიის მიმართ, რომელიც მოგვითხრობდა სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტების მიერ ICT-ის გამოყენების დადებითი ცვლილებებისათვის და იმ დრამაზე, და ხშირად კონფლიქტებზე, რომლებიც ვითარდებოდა ბელორუსულ “flash mob”-ების დროს, ან ქუჩის აქციებზე აღმოსავლეთ ევროპაში ფერადი რევოლუციებისას, ან ირანელების მიერ ტვიტერის გამოყენებისას საერთაშორისო თანამეგობრობისთვის გაყალბებული არჩევნების შესახებ ხმის მისაწვდენად 2010 წელს. ამ ენთუზიაზმს ემატებოდა საჯარო ჟურნალისტიკის შესახებ დადებითი შეფასებები – იდეა იმის თაობაზე, რომ ჩვეულებრივ მოქალაქეებს შეეძლოთ მედიის გაძლიერება ინტერაქციული ტექნოლოგიების საშუალებით, რომლებსაც ისინი იყენებდნენ მსხვილი კორპორაციებისთვის ახალი ამბების დროულად მიწოდებით. ჩვეულებრივი ადამიანები, რომელთა შესახებაც საუბრობდა დესერტო, ახალა გაძლიერდნენ და შეეძლოთ „სიმართლე ეთქვათ მათთვის, ვის ხელშიცაა ძალაუფლება“ მათი პირადი ბლოგებით, ონლაინ ჯგუფების, ელექტრონული ფოსტებით და გამომცემლობების იოლი ფორმების გამოყენებით.

ამგვარი სარგებლების სხვა, უფრო თანამედროვე გამოყენების მაგალითებს გვთავაზობს ბენკლერი (Benkler, 2007). ეს მაგალითები წარმოგვიდგეს მტკიცებულებას იმ ინფორმაციისა და კულტურის კოლაბორაციული პროდუქციისთვის ეკონომიკური სარგებლის შესახებ. ბენკლერი აანალიზებს პროდუქციის ისეთ ქსელურ სისტემებს, როგორიცაა, მაგალითად ვიკიპედია და ბლოგოსფერო და ამტკიცებს, რომ კოლაბორაციული და მონაწილეობირივი კომუნიკაცია ზემოხსენებულ და სხვა იაფფასიანი, ან სულაც უფასო ინსტრუმენტების მეშვეობით, უზრუნველყოფს ფართომასშტაბიან სოციალურ და ეკონომიკურ სარგებლებს განსხვავებით საავტორო უფლებების, პატენტებისა და ინტელექტუალური საკუთრების სხვა ფორმების ჩაკეტილი სისტემებისგან. თავისუფალი და ღია წყაროს პროგრამების მოძრაობა კიდევ ერთი მაგალითია კოლაბორაციული პროდუქციისა და იმ ალტერნატივებისა, რომლებიც შეიქმნა შემზღუდავი ლიცენზიის რეჟიმების წინააღმდეგ. ის მუშაობს კონკრეტული პოლიტიკური დაპირებისგან ადამიანებზე ორიენტირებული ინსტრუმენტებისა და რესურსების განვითარებისთვის, რაც, ბევრის მტკიცებით, გადამწყვეტია სამოქალაქო საზოგადოებისათვის (Coleman 2009).

და მაინც, ამ „კომუნიკაციის ოკეანის“ აქტიურობის შესანარჩუნებლად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო საზოგადოების კომუნიკაციურ პოტენციალზე ელექტრონული მედიისა და მისი მართვის პოლიტიკური ეკონომიკის გავლენის გაგებას. ICT-ების მიმართ დაბალანსებული მოსაზრება აცნობიერებს, რომ ციფრული ეპოქის შესახებ დისკურსი არის ის არგუმენტი, რომელიც უნდა გაანალიზდეს პოლიტიკის რეალურ ცვლილებაზე მისი გავლენის თვალსაზრისით. ახალი მედიის გამოყენების მხოლოდ ქება და ღიძება იმის გაანალიზების გარეშე, თუ როგორ ხდება მისი შექმნა და მართვა, უზღუდავს შესაძლებლობას სამოქალაქო საზოგადოების აქტორებს შეცვალონ ის მიმართულება, რომლისკენაც ვითარდება ICT-ები, რათა გამოიყენონ ისინი იმ გადამწყვეტილებებში ფართო მონაწილეობის წასახალისებლად, რომლებიც უამრავი ადამიანის ცხოვრებაზე ახდენს გავლენას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ შერბილდეს მოლოდინები იმის შესახებ, თუ რის მიღწევა შეუძლია მომდევნო „ახალ“ ელექტრონული მედიის ინსტრუმენტებს და სივრცეებს.

## 2. სამოქალაქო საზოგადოების მიმართ განედებული ენთუზიაზმი ციფრულ ეპოქაში

მნიშვნელოვანი, თუმცა ნაკლებად პოპულარული ნაშრომები მიმოიხილავს და აკრიტიკებს ციფრული ეპოქის ემანსიპატორულ დისკურსს. მეი (May, 2002), მატელარტი (Mattelart, 2003), ბარნი (Barney, 2004), უებსტერი (Webster, 2006) და ჰინდმანი (Hindman, 2008), მაგალითად, ფრთხილად ეკიდებიან ამ დისკურსს, და ამტკიცებენ, რომ „ახლის“ პრეტენზიები შედეგად იწვევს ყურადღების გადატანას და ხშირად ხელსაც უშლის იმ სტრუქტურული პირობების გათვალისწინებას, რომლებსაც დიდი გავლენა აქვთ უთანასწორობის, დომინაციისა და კონტროლის ხანგრძლივ ტენდენციებზე. ეს კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ მოსაზრება ICT-ების ტრანსფორმაციული პოტენციალის შესახებ ავნიშებს ისტორიის მნიშვნელობას და მეტისმეტადაა დამოკიდებული არა მხოლოდ მოდერნულობისა და პროგრესის ტრადიციულ ცნებებზე, არამედ, გადაჭარბებულად აფასებს ტექნოლოგიის შესაძლებლობებს ამ ცნებების განსაზღვრისა და პოპულარიზაციისთვის. მათი მოსაზრებით, ამ საკითხების მიმართ კრიტიკული ხედვა უზრუნველყოფს უფრო მყარ საფუძველს, რომელსაც უნდა დაეფუძნოს წარსული, ახლანდელი და მომავალი მოლოდინები სამოქალაქო საზოგადოებისთვის, ასევე სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობისთვის ICT-ების როლის შესახებ.

დაახლოებით ოცი წლის წინ ჯენიფერ სლეკმა დასვა კითხვა, თუ რატომ იყო საჭირო კიდევ ერთი ახალი წიგნი ინფორმაციის ეპოქის შესახებ. პასუხად კი განაცხადა, რომ „ინფორმაციული ეპოქა საკამათო სფეროა: ის, რაც არის – თუ საერთოდ არის ინფორმაციული ეპოქა – როგორ ცხოვრობენ მასში და რა გამოცდილებას იძლევა ის, მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან... ეს არის პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური მექანიზმების და ურთიერთობების მიმდინარე არტიკულაცია... საინფორმაციო ეპოქის აღწერა იდეოლოგიურია, ხოლო იდეოლოგია ღრმად არის შეჭრილი იმაში, რაც არის საინფორმაციო ეპოქა“ (1987, 1–2). ეს დასკვნა დღესაც აქტუალურია და განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ენთუზიასტების მტკიცებების სულ მცირე ოთხი ყველაზე სუსტი ასპექტი. პირველი გახლავთ ტექნოლოგიური დეტერმინიზმი. უებსტერი, მაგალითად, აღწერს თუ როგორ ამახვილებენ ყურადღებას ციფრული დისკურსის მომხრეები თვალისმომჭრელ ტექნოლოგიურ ინოვაციებზე და მათ ტრანსფორმაციულ ძალაზე, როგორც „ინფორმაციის საზოგადოების ფუნდამენტურ ელემენტებზე“. ისინი, ვინც ამტკიცებენ, რომ სივრცემ და დრომ განიცადა სრული ტრანსფორმაცია კიბერსივრცეში სიმბოლური ინტერაქციის წყალობით, ასევე – შეცნობით თუ შეუცნობლად, ემხრობიან ამ მოსაზრებას და ამით ხორცს ასხამენ „ფუტურისმის ჟანრს... რომელიც სავსეა საგანგაშო ზარებით, სუბსტანციური სამყაროს ზედაპირული ანალიზითა და იმ რწმენით, რომ მხოლოდ ავტორებს ესმით ის, რაც ჯერაც მიუწვდომელია უმეტესობისთვის“ (2006, 7–8). ამ დისკურსის მხარდამჭერები გადაჭარბებით აღიქვამენ ეკონომიკური პროდუქტიულობისა და სოციალური რეკონსტრუირებისთვის ინფორმაციასთან დაკავშირებული საქმიანობების მნიშვნელობას.

ICT-ების მიმართ ენთუზიაზმით განწყობილები ფიქრობენ, რომ “მანქანებმა, და არა პროგრესის მიზნებმა, უნდა დაიკავონ სცენის მთავარი ნაწილი... ხელსაყრელობა, პროგრესის მსგავსად აფიშირებს ყოველგვარი ძალდატანების გარეშე“. მარტივად რომ ვთქვათ, უკეთესი ცხოვრება ნიშნავს „იმ ინსტრუმენტებზე ხელმისაწვდომობას, რომელიც გვეხმარება დროის დაზოგვაში, სივრცის ათვისებასა და კომფორტის შექმნაში“ (Slack and Wise 2005, 17, 28). ლენგდონ უინერი (Langdon Winner (1999, 43), მსჯელობს ამ ხაზს განსაზღვრავს, როგორც რწმენას იმისა, რომ ტექნოლოგია „უმნიშვნელოვანესია კულტურის განსაზღვრაში და რომ ტექნოლოგია იწვევს კულტურის ცვლილებას. უინერი ასევე ამტკიცებს, რომ არტეფაქტები ხორცს ასხამს პოლიტიკას და არ არის მხოლოდ მისი ინსტრუმენტები. იგი ამტკიცებდა, რომ „ის, რასაც ჩვენ „ტექნოლოგიებს“ ვუწოდებთ, არის ჩვენს

სამყაროში წესრიგის დამყარების საშუალებები“. ამავე დროს ის იხსენებს ლიუის მამფორდის გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ როგორც დემოკრატიული, ასევე ავტორიტარული ტენდენციები იზადება ადამიანების მიერ ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად: „ტექნოლოგია როგორც ასეთი, კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ ის სოციალური და ეკონომიკური სისტემები, რომელშიც ის ჩაბეჭდილია“, როგორც ამას ადასტურებს ციფრული უფლებების მენეჯმენტის (DRM) თანამედროვე მაგალითი, ანუ ტექნოლოგიების, რომელიც ხელს უშლის იმ დამცავი სისტემების თავიდან აცილებას, რომელიც ადევს ონლაინ გავრცელებულ ციფრულ კონტენტს.

ტექნო-ოპტიმიზმის მეორე სისუსტე არის ის, რომ იგი უგულებელყოფს იმ ავტორიტარულ ტენდენციებსა და სხვა საფრთხეებს, რომელთა შესახებ მამფორდი გვაფრთხილებდა, და რომლებსაც რობინსი და უებსტერი (2004, 65) „ინფორმაციული რევოლუციის ბნელ მხარეს“ უწოდებენ. ძირითადი ფაქტორი, რაც ციფრული ეპოქის ეიფორიაში იკარგება არის ილუზია იმისა, რომ მომხმარებლები აკონტროლებენ ტექნოლოგიას და რომ ისინი არ ხდებიან მისი მანიპულაციის მსხვერპლები: ხელმისაწვდომობა ისეთ მრავალფეროვან ელექტრონულ პროდუქტებსა და სერვისებზე, როგორიცაა მობილურები, ბლოგები, ტექსტური შეტყობინებები, პეიჯერები, პერსონალურ მონაცემთა ასისტენტები, და მაღალტექნოლოგიური ტელეფონები, ბევრს არაფერს გვეუბნება ამ არჩევნის რეალურ გავლენაზე და ხანგრძლივადიან შედეგებზე გაძლიერებასა და სოციალურ ურთიერთობებთან მიმართებაში. კომუნიკაციის ტექნოლოგიები აჩქარებენ ინფორმაციის გაცვლის ტემპებს, ზრდიან მის მოცულობას და მხარს უჭერენ ონლაინ გარემოს, რომელშიც შეიძლება ჩამოყალიბდეს, გაძლიერდეს და ფორმა იცვალოს კიდევ კავშირებმა და პოლიტიკურმა მოსაზრებებმა. და მაინც, დებატები ჯერ კიდევ არ დასრულებულა ამ კავშირებისა და რწმენების ბუნებისა და მიმართულების ირგვლივ, ისევე როგორც იმ კითხვების შესახებ აძლიერებს თუ აკნინებს ICT-ები სოციალური ცხოვრების ბალკანიზაციას (Shah, Kwak, and Holbert 2001; Galston 2003). თუმცა, ეს მნიშვნელოვანი კითხვებია, რომელზეც პასუხი მოსაძებნია, თუ გვსურს, რომ კომუნიკაციის ტექნოლოგიებმა მიმართოს თავისი პოტენციური ალიანსების ჩამოსაყალიბებლად იმ ცვლილებებისთვის, რომელიც იმდენად ღრმა და ფართოა, რომ მათი ეფექტურობა და მდგრადობა ბევრად უფრო შორს მიდის, ვიდრე სპონტანური საპროტესტო ღონისძიებები ან ადვოკატირების კამპანიებია. (Fine 2006; Leadbeater 2008; Harkin 2010). ასევე მეტად მნიშვნელოვანია ის ალტერნატივები, რომლებიც არ არის გაცხადებული იმ ტექნოლოგიების დევლოპერების, ინჟინრების და პოლისიმიეკერების მიერ, რომლებიც იღებენ პატენტებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ არჩევანი, აირჩიონ და არა მხოლოდ გამოეთიშონ ინტერაქციის ციფრულად ორგანიზებულ და უკვე მიჩენილ ფორმებს. მომხმარებლის აქტივიზმის დაკავშირებით ციფრული უფლებების შესახებ აქტივიზმთან შესაძლებელია ახალ ალტერნატივებზე ხელმისაწვდომობის გზადა.

მესამე სისუსტე ისაა, რომ ლიტერატურას, რომელიც მიიჩნევს, რომ “ტექნოლოგია მის ხასიათს თავს ახვევს დანარჩენ საზოგადოებას” (May 2002, 13) გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს ICT-ების მიერ ბაზრებისა და სახელმწიფოს დემოკრატიზაციის შესაძლებლობაზე და იმაზე, რომ ICT-ები აწყობენ სოციალურ რევოლუციებს, ქმნიან ახალ ეკონომიკას, გარდაქმნიან პოლიტიკას და ხელს უწყობენ ერი-სახელმწიფოების დადმასვლას. იგი ხაზს უსვამს, რომ გავრცელებული შეხედულების თანახმად ონლაინ თემები მოქმედებენ „გეოგრაფიისგან დამოუკიდებლად“ ისე, რომ მათი საქმიანობები ცვლის „დემოკრატიული ანგარიშვალდებულებისა და მონაწილეობის ხასიათს“. (May 2002, 15). მიუხედავად იმისა, რომ გადანაცვლებები ნამდვილად ხდება პოლიტიკური აქტივიზმის სახით, ოპონენტები, მაგალითად, მეი, შედარებით ოპტიმისტურად არიან განწყობილნი მათი პოლიტიკური ეფექტიანობის მიმართ, რაც ნაწილობრივ გამომწვეულია სახელმწიფოს როლით პრივატულობის შეზღუდვასა და ონლაინ ცენზურის დაწესებაში. შესაბამისად, ის არგუმენტები, რომლებიც ხშირად მოჰყავთ ICT ენთუზიასტებს გლობალიზებული საინფორმაციო ქსელების წინაშე სახელმწიფოს უუნარობის შესახებ,

უნდა გადაისინჯოს მაშინაც კი, თუ ახალი ტექნოლოგიები, საშუალებას აძლევს სამოქალაქო საზოგადოებას უფრო ეფექტურად აკრიტიკონ სახელმწიფო. სახელმწიფო რიტორიკის დადმასვლას წარმოაჩენს მთავრობას, როგორც არასანდო და უმნიშვნელო აქტორს, რომელიც ფეხს ვერ უწყობს ტექნოლოგიურ განვითარებას. და მაინც, ბევრ შემთხვევაში სწორედ მთავრობას ჩარევა მოაგვარებს „ციფრული დაყოფით“ გამოწვეულ პრობლემებს (Warschauer 2004). ისინი, ვისაც ხელი მიუწვდება კომუნიკაციის ციფრულ ფორმებზე და ვისაც აქვს ამ ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობა მათსავე საკეთილდღეოდ, ეყრდნობიან სახელმწიფოს ინტერვენციას და მის მიერ იმგვარი სარეგულაციო პირობების შექმნას, როგორცაა მისანვდომი ფასები, მომხმარებლის ინტერესების დამცველი კანონმდებლობა, ქსელებს შორის კავშირი და არადისკრიმინაციული სერვისები. საჯარო ინტერესების პოლიტიკის დამცველები მთელს მსოფლიოში სწორედ ამ პირობების შესაქმნელად მუშაობენ, მაგრამ ამ პროცესში ისინი აწყდებიან მრავალ ისეთ დაბრკოლებას, როგორცაა სუსტი ინსტიტუციური შესაძლებლობა და მწირი რესურსები, რომლებიც არ არის საკმარისი მათი ადვოკატირების მცდელობების ხორცშესხმისთვის, მუდმივად ცვალებადი პოლიტიკური ფორუმები, რომლისკენაც უნდა იქნეს მიმართული ეს აქტივობები და უუნარობა არაექსპერტ ჯგუფებს გააგებინონ, თუ რა დგება საფრთხის ქვეშ ციფრულ უფლებებთან დაკავშირებით. დაბოლოს, მესამე პუნქტიდან გამომდინარე, ყველა ICT-ს ფუნქციონირება დამოკიდებულია კომუნიკაციის ინფრასტრუქტურის რესურსებზე, რომლებიც ან მსხვილი კორპორაციების საკუთრებას წარმოადგენს ან მთავრობების მიერ რეგულირდება. ეს რესურსები გულისხმობს რადიო სიხშირის სპექტრს ყველაფრისთვის, რაც მოგზაურობს ჰარის ტალღების ზემოთ, ტელეკომუნიკაციის ქსელებზე; ყველაფრისთვის, რაც საჭიროებს სატელეფონო კავშირს, სატელიტურ თეფშებს, რომლებსაც აქვთ შესაბამისი ვიდეომინაარსი, კაბელურ კავშირებს და პროგრამულ კოდებს, რომლებიც აკონტროლებენ ისეთ ქსელთაშორის სერვისებს, როგორცაა ინტერნეტი. ყველა ეს ზემოთჩამოთვლილი რესურსი ამა თუ იმ ფორმით მოითხოვს მთავრობის მონაწილეობას, რაც გულისხმობს კანონების შემოღებას და რეგულაციების დანერგვას. ამ მიზეზების გამო, ICT ენთუზიასტებმა უნდა თანაბარი ყურადღება მიაქციონ იმ რთულ და ორმხრივ ურთიერთობას, რომელიც არსებობს ერთი მხრივ მათ შორის, რომლებიც გეგმავენ, აფინანსებენ, აშენებენ, უვლიან და მართავენ ელექტრონული კომუნიკაციის ინფრასტრუქტურებსა და ინსტრუმენტებს და ხოლო მეორეს მხრივ ამ რესურსების მომხმარებლებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მიზნებისთვის. არც ერთი ტექნოლოგია არ არის ბოლომდე ნეიტრალური და შესაბამისად, ყველა პოლიტიკას, რომელიც ქმნის და არეგულირებს ტექნოლოგიებს, აქვს თავისი სარგებლები და ხარჯები. ინტერნეტი, მაგალითად, შექმნილია როგორც დეცენტრალიზებული, ღია არქიტექტურის სისტემა, რომელიც ახლა ფასილიტაციას უწევს სპიკერებისა და მოხსენებების ფართო სპექტრს, რომელიც ერთიანებს დემოკრატიის მხარდამჭერებს, მედიის ფან-კლუბებს, ჰობისტებს, სტუდენტურ ჯგუფებს და მეცნიერებების ქსელებს – ისევე როგორც პორნოგრაფიის გამავრცელებლებს, ადამიანების ტრეფიკინგის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართულებს და იარაღით მოვაჭრეებს. რომელი ონლაინ მომხმარებლების და რა უფლებები უნდა იქნეს დაცული – ეს მნიშვნელოვანი კითხვებია მმართველობის ახალი ფორმებისთვის, რომლებიც ციფრულ ეპოქაში ჩნდება. სწორედ ამიტომაც სამოქალაქო საზოგადოებამ ყურადღება უნდა გაამახვილოს კომუნიკაციისა და ინფრასტრუქტურის პოლიტიკაზე და აგრეთვე მისი გამოყენების იმ სხვადასხვა ფორმაზე, რომელიც ეხება ახალ ციფრულ ინსტრუმენტებსა და სერვისებს.



### 3. კომუნიკაციის ინჰასჯრუჰუის კოლიჯიკა, კოგოკს სამოქალაქო საზოგადოების კოგლეკა

კომუნიკაციის პოლიტიკა შეიძლება განისაზღვროს, როგორც „ქმედებების პრინციპები და პროცედურები, რომლებიც მართავს კომუნიკაციის რესურსების გამოყენება“ (Rodriguez et al. 2009, 1) და მოიცავს “მაუწყებლობას, ტელეფონებს, კომპიუტერებს და ტელეკომუნიკაციებს, ინტერნეტს, საჯარო ინფორმაციის თავისუფლებას, კონფიდენციალობას და ინტელექტუალურ საკუთრებას (Mueller, Page, and Kuerbis 2004, 169). და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ეს მედია და ტელეკომუნიკაციის სისტემები ხელს უწყობს ან პირიქით – ზღუდავს სხვა თავისუფლებების, უფლებებისა და შესაძლებლობების გამოხატვას, მკვლევრები, რომელთა ინტერესის სფეროს სოციალური მოძრაობები და ადამიანის უფლებების დაცვა წარმოადგენს, ხშირად ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ იმ როლს, რომელსაც კომუნიკაციის მედია თამაშობს სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბრძოლაში (Downing 2008). როგორც მიულერი, პეიგი და კუერბისი აღნიშნავენ (Mueller, Page, and Kuerbis), „ბოლოდროინდელი სამეცნიერო ლიტერატურა გლობალური სამოქალაქო საზოგადოების და სოციალური მოძრაობების შესახებ სავსეა მინიშნებებით ინფორმაციული ტექნოლოგიის (IT) მნიშვნელობის შესახებ აქტივიზმის ხელშეწყობისთვის. თუმცა, არც ერთი ნაშრომი არ ეძღვნება კომუნიკაციისა და ინფორმაციის პოლიტიკას, როგორც აქტივიზმის საგანს“ (2004, 170).<sup>4</sup>

ეს მკვდარი წერტილი განსაკუთრებით პრობლემური ხდება, როდესაც სამოქალაქო საზოგადოების ინტერესი კომუნიკაციის პოლიტიკის მიმართ ემორჩილება ინდუსტრიისა და მთავრობის სურვილებს. მაგალითად, კორპორაციები და სახელმწიფოები ხშირად თანამშრომლობენ, როდესაც საქმე ეხება სამოქალაქო საზოგადოების მეთვალყურეობას. ამ თანამშრომლობის შედეგად იქმნება კანონები მონაცემების შენარჩუნების შესახებ, რომელთა მეშვეობითაც მთავრობა ითხოვს, რომ მომხმარებლების მონაცემები შეგროვებული იქნეს ტელეკომუნიკაციების კომპანიების მიერ, ინტერნეტის სერვისების პროვაიდერების ან ISP-ების ჩათვლით (Costanza-Chock 2004). ონლაინ შინაარსის კორპორაციული ან სამთავრობო ფილტრები ასევე ჩამოყალიბდა როგორც ცენზურის ახალი ფორმები (Diebert et al. 2008), რომლებიც იყენებს კანონებს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის შესახებ, რათა შეზღუდოს ისეთი ონლაინ ქცევები, როგორცაა შეზღუდული კონტენტის ჩამოტვირთვა, მოქმედებაში მოყავს დეფიციტის შესახებ კანონები, რათა შექმნას შიშისმომგვრელი ეფექტი მათთვის, რომლებიც აკრიტიკებს კორპორატიულ ქცევას, ერევა ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის სიხშირეში ან ბლოკავს ვებგვერდების კონტენტს.<sup>5</sup> ეს ინტერვენციები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ICT-ების ტრანსფორმაციულ პოლიტიკურ ძალას: “ინსტრუმენტები არ ქმნის ახალ პოლიტიკას“, როგორც ამას ბარნი (Barney, 2004, 130) ამბობს. შესაბამისად, ICT მმართველობისა და კონტროლის ახალი და უფრო დემოკრატიული ფორმები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მომავალში წარმატებით იქნეს გამოყენებული სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობისა და მონაწილეობის პოტენციალი.

ამავდროს, სამოქალაქო საზოგადოების მკვლევართა ერთი ჯგუფი აქტიურად აყენებს ეჭვქვეშ იმ კონტროლს, რომელსაც ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობა აწესებს ონლაინ კომუნიკაციაზე ციფრული უფლებების მენეჯმენტისა და სხვა ინსტრუმენტების მეშვეობით (Jorgensen, 2006). მაგალითად, მომხმარებლების გლობალური დიალოგი ცოდნისა და კომუნიკაციების საკითხებზე მისაწვდომობასთან დაკავშირებით (Global Consumer Dialog on Access to Knowledge and

Communication Issues) Consumers International-ის მიერ ხორციელდება, რომელიც მომხმარებლის უფლებებზე მომუშავე 220 ორგანიზაციას აერთიანებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით და მიზნად ისახავს „კოლექტიური ხმისა და მომხმარებლების ჯგუფების გაძლიერებას მთელ მსოფლიოში და მრავალ სექტორში, რათა გარანტირებულ იქნეს მომხმარებლების ინტერესების დაცვა და მათი ადეკვატური წარმომადგენლობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მიმდინარე დებატებში ინტელექტუალური საკუთრებისა და კომუნიკაციის უფლებების ირგვლივ და შესაბამისად, პოლიტიკის ცვლილებისთვის კატალიზატორის ფუნქციის შესრულება უფრო დაბალანსებული IP და კომუნიკაციის რეჟიმების ასამოქმედებლად.“<sup>6</sup> ეს პროექტი ერთ-ერთია იმ კოლაბორაციული პროექტებიდან, რომელთა განხორციელება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა 2000 წელს მთელ მსოფლიოში დაიწყეს და რომლის მიზანია უზრუნველყოს, რომ ციფრული უფლებები არა მხოლოდ კორპორაციების, არამედ მოქალაქეებისა და მომხმარებლის ინტერესებსაც ემსახურება. ეს უფლებები გულისხმობს კონფიდენციალურობის უფლებას, გამოხატვის თავისუფლებასა და ხელმისაწვდომობას ონლაინ განთავსებულ საგანმანათლებლო და სამთავრობო ინფორმაციაზე. ამ სფეროში ეფექტიანი ადვოკატირება აუცილებლად ითვალისწინებს იმის გააზრებას, თუ სად იკვეთება უფლებათა რეჟიმების ფართო სპექტრი, სად ეწინააღმდეგება ისინი ერთმანეთს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანისა და მომხმარებლის უფლებებთან დაკავშირებით.

2003 და 2005 წლებში გაიმართა გაეროს ორი სამიტი საინფორმაციო უსაფრთხოების მსოფლიოს სამიტის ეგიდით (WSIS), რის შედეგადაც ჩამოყალიბდა გაეროს ინტერნეტ მმართველობის ფორუმი (IGF). როგორც რაბოი (Raboy, 2004, 225) აღნიშნავს, WSIS-სა და IGF-ში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობამ გავლენა მოახდინა სამოქალაქო საზოგადოების მოლოდინებზე მმართველობის ახალ ფორმებთან დაკავშირებით. WSIS-ის დროს ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებსა და პროცესებზე, რომლებიც ახასიათებს კომუნიკაციების მენეჯმენტს ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში. ამ საკითხების გადაჭრის გარეშე (რომლებიც მოიცავს ისეთ თემებს, როგორცაა სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის სტრუქტურირება, ლეგიტიმაცია და ანგარიშვალდებულება), WSIS და სხვა მსგავსი პროცესები მიუთითებს ჩამოყალიბების პროცესში მყოფ გლობალური მმართველობის პარადიგმაზე, რომელშიც ინფორმაციულ და კომუნიკაციის პრობლემებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება და რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ ახალმა აქტორებმა, განსაკუთრებით კი სამოქალაქო საზოგადოებამ. მეცნიერები, მაგალითად, მიულერი (Mueller, 2002) და ზიტრაინი (Zittrain, 2008) ამტკიცებენ, რომ საჭიროა უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს მმართველობის გლობალურ პრობლემებს, განსაკუთრებით ისეთ საკითხებს, რომლებიც უკავშირდება ინტერნეტს.

#### 4. დასკვნა

დასასრულისთვის, შეიძლება ითქვას, რომ ამ თავის მიზანი იყო ყურადღება გაემახვილებინა იმაზე, თუ რამდენად არის ოცდამეერთე საუკუნის სამოქალაქო საზოგადოებაში მიმდინარე მსჯელობები და ქმედებები დამოკიდებული და ამავე დროს, შეზღუდული ელექტრონული კომუნიკაციის რესურსებითა და მათი მენეჯმენტით. სამოქალაქო საზოგადოების გამოცდილება ICT-ების გამოყენებაში ოპტიმისტური და სკეპტიკური პერსპექტივის შუაში თავსდება. ეჭვგარეშეა, რომ ასოციაციურ ცხოვრება შეიძლება უფრო დინამიური გახდეს ელექტრონულად დაკავშირებული კომუნიკაციით. გაუმჯობესებული კომუნიკაცია და ინფორმაციის გამჭვირვალებობა ხშირად ამდიდრებს დემოკრატიულ პროცესებს, ხოლო ელექტრონული საჯარო სფეროები უზრუნველყოფს იმ სივრცეებს, სადაც ხორციელდება მეტად მნიშვნელოვანი სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივობები. თუმცა, ეს სივრცე საჭიროებს აღიარებას

არა მხოლოდ როგორც ინსტრუმენტი სამოქალაქო საზოგადოებისთვის, არამედ ისიც, რისი შენარჩუნებისთვისაც უნდა იზრუნოს სამოქალაქო საზოგადოებამ. აქ იგულისხმება ის მცდელობები, რომლებიც გამიზნულია ღია წყაროს პროგრამებისა და მათი ფილოსოფიის გამოყენების გაფართოებაზე, ელექტრონულ მედიასთან დაკავშირებული სამოქალაქო საზოგადოების დაცვისთვის აუცილებელი ჩარჩოები და პოლიტიკები, რომლებსაც აქვთ პოტენციალი უზრუნველყონ სამოქალაქო საზოგადოების სივრცეები და ის შესაძლებლობები, რომლებიც შედარებით დამოუკიდებელია მთავრობებისა და კორპორაციებისგან – თვითორგანიზებული, თემზე დაფუძნებული ალტერნატივები, რომლებიც იმართება მოქალაქეების მიერ, არის არაკომერციული და რაც შეიძლება ღია და მონაწილეობრივი (Hintz 2009).

იმისდა მიუხედავად, თუ როგორია ჩვენი განწყობა ციფრული ეპოქის სამოქალაქო საზოგადოების მიმართ – სკეპტიკური თუ იმედისმომცემი, ან შეგვიძლია თუ არა ბალანსის დაცვა ორივე პერსპექტივის ელემენტებს შორის, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ „ჩვენ არ ვართ ის პირველი თაობა, რომელიც გაოცებას ვერ მალავს სწრაფი და გასაოცარი ცვლილებების გამო... რომლებიც შედეგად მოიტანა კომუნიკაციის ახალმა ფორმებმა“ (Marvin 1988, 1). რა პროგრესსაც არ უნდა შეუწყოს ხელი ტექნოლოგიურმა ინოვაციებმა, ისინი არასდროს არ არის პრობლემებისა და უთანასწორობებისგან თავისუფალი, რაც აუცილებლად მისახედა. ახალი თაობის ტექნოლოგიების გამოჩენასთან დაკავშირებული გარდაუვალი ალტაცების ფონზე, მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო საზოგადოების მკვლევრებმა და აქტივისტებმა ძალ-ღონე არ დაიშურონ მოლოდინების დაბალანსებისთვის. ICT-ების ინფრასტრუქტურული პოლიტიკა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მნიშვნელოვანია ICT-ების როლი ნებისმიერი ეპოქის სამოქალაქო საზოგადოებისთვის ელექტრონული ინსტრუმენტებისა და სივრცეების პოზიტიური ასპექტების შენარჩუნებისთვის.

## შენიშვნები

1. იხ. <http://thecoup.org/blog/10-tactics>.
2. იხ. <http://www.neworganizing.com/about-us>.
3. იხ. <http://diycitizenship.com>.
4. უახლესი მნიშვნელოვანი გამონაკლისია S. Milan (2009), "Stealing the Fire: A Study of Emancipatory Practices of Communication," ხელმისაწვდომია აქ: [http://www.eui.eu/Documents/civil\\_society\\_in\\_the\\_digital\\_age\\_DepartmentsCentres/SPS/ResearchAndTeaching/ThesesDefended/THesesDefendedBioAbs2009/MilanPhDThesisAbstractAndBio.pdf](http://www.eui.eu/Documents/civil_society_in_the_digital_age_DepartmentsCentres/SPS/ResearchAndTeaching/ThesesDefended/THesesDefendedBioAbs2009/MilanPhDThesisAbstractAndBio.pdf).
5. იხ. მაგალითად, <http://opennet.net/blog/2010/02/pakistan-blocks-youtube-videos>, <http://www.spiegel.de/international/europe/0,1518,druck-678508,00.html>, და <http://opennet.net/blog/2008/10/oni-affiliate-reveals-chinese-surveillance-skype-messages>.
6. იხ. <http://a2knetwork.org/>.

## ბიბლიოგრაფია

- Barney, D. 2004. *The Network Society*. Malden, Mass.: Polity Press.
- Benkler, Y. 2007. *The Wealth of Networks: How Social Production Transforms Markets and Freedom*. New Haven, Conn.: Yale University Press.
- Bollier, D. 2003. *Silent Theft: The Private Plunder of Our Common Wealth*. New York: Routledge.
- Bucy, E. P., ed. 2004. *Living in the Information Age: A New Media Reader*. 2nd ed. Belmont, Calif.: Wadsworth.
- . 2009. *Communication Power*. Oxford: Oxford University Press.
- Costanza-Chock, S. 2004. "The Whole World Is Watching: Online Surveillance of Social Movement Organizations," in P. Thomas and Z. Nain (eds.) *Who Owns the Media?: Global Trends and Local Resistances*. London: Zed.
- Coleman, G. 2009. "Code is Speech: Legal Tinkering, Expertise, and Protest Among Free and Open Source Software Developers." *Cultural Anthropology* 24(3):420–54.
- DeBrosse, J. 2010. "Texting raises \$24M for Haiti Earthquake Relief." *Dayton Daily News*, January 20.
- deCerteau, M. 1998. *The Practice of Everyday Life, vol. 2: Living and Cooking*. Minneapolis: University of Minnesota Press.
- Diebert, R., J. G. Palfrey, R. Rohozinski, and J. Zittrain. 2008. *Access Denied: The Practice and Policy of Global Internet Filtering*. Cambridge, Mass.: MIT Press.
- Downing, J. D. H. 2008. "Social Movement Theories and Alternative Media: An Evaluation and Critique." *Communication, Culture and Critique* vol. 1(1): 40–50.
- Fine, A. 2006. *Momentum: Igniting Social Change in the Connected Age*. San Francisco: Jossey-Bass.
- Galston, W. 2003. "Does the Internet Strengthen Community?" *National Civic Review*, vol. 89(3): 193–202.
- Gibson, W. 2004. *Neuromancer*. 2nd ed. New York: Ace Books.
- Habermas, J. 1991. *The Structural Transformation of the Public Sphere: An Inquiry into a Category of Bourgeois Society*. Cambridge, Mass.: MIT Press.
- Haraway, D. 1990. *Simians, Cyborgs and Women: The Reinvention of Nature*. New York: Routledge.
- Harkin, J. 2010. *Lost in Cyurbia: How Life on the Net Has Created a Life of its Own*. New York: Knopf.
- Hindman, M. 2008. *The Myth of Digital Democracy*. Princeton, N.J.: Princeton University Press.
- Hintz, A. 2009. *Civil Society Media and Global Governance: Intervening into the World Summit on the Information Society*. Münster: LIT Verlag.
- Leadbeater, C. 2008. *We-Think*. London: Profile.
- Lentz, R. 2010. "Media Infrastructure Policy and Media Activism," in J. D. Downing (ed.) *Sage Encyclopedia of Social Movement Media*. Thousand Oaks, Calif.: Sage Publications.
- . 2002. *The Future of Ideas: The Fate of the Commons in a Connected World*. New York: Vintage Books.
- Leval, J., and J. Marsico. 2008. "The Rise of 'Convenience Voting.'" *The American*, October 16.
- Li, C., and J. Bernoff. 2008. *Groundswell: Winning in a World Transformed by Social Technologies*. Boston: Harvard Business Press.
- Mansell, R., and M. Raboy (eds.) 2011. *The Handbook of Global Media and Communication Policy*. Oxford: Blackwell.
- Marvin, C. 1988. *When Old Technologies Were New: Thinking About Electric Communication in the Late Nineteenth Century*. Oxford: Oxford University Press.



- Mattelart, A. 2003. *The Information Society: An Introduction*. Thousand Oaks, Calif.: Sage Publications.
- May, C. T. 2002. *The Information Society: A Skeptical View*. Boston: Polity Press.
- . 2003. *Key Thinkers for the Information Society*. London: Routledge.
- Mueller, M. L. 2002. *Ruling the Root: Internet Governance and the Taming of Cyberspace*. Cambridge, Mass.: MIT Press.
- Peirce, Neal R. 2000. "E-Government More than Convenience." *Stateline.org*, August 14. Available at [www.stateline.org/live/ViewPage.action?siteNodeld=136&languageId=1&contentId=14095](http://www.stateline.org/live/ViewPage.action?siteNodeld=136&languageId=1&contentId=14095) (accessed March 7, 2010).
- Raboy, M. 2004. "The World Summit on the Information Society and its Legacy for Global Governance." *Gazette: The International Journal for Communication Studies* vol. 66(3–4): 225–32.
- Rheingold, H. 2003. *Smart Mobs: The Next Social Revolution*. Jackson, Tenn.: Basic Books.
- Robins, K., and F. Webster. 2004. "The Long History of the Information Revolution," in F. Webster (ed.) *The Information Society Reader*. New York: Routledge, 62–80.
- Rodriguez, C., D. Kidd, and L. Stein. 2009. *Making Our Media: Global Initiatives for a Democratic Public Sphere: Creating New Communications Spaces*, vol. 1. Cresskill, N.J.: Hampton Press.
- . 2009. *Making Our Media: Global Initiatives for a Democratic Public Sphere: National and Global Movements for Democratic Communication*, vol. 2. Cresskill, N.J.: Hampton Press.
- Shah, D., N. Kwak, and R. L. Holbert. 2001. "'Connecting' and 'Disconnecting' With Civic Life: Patterns of Internet Use and the Production of Social Capital." *Political Communication*, vol. 18: 141–62.
- Shirky, C. 2008. *Here Comes Everybody: The Power of Organizing Without Organizations*. New York: Penguin.
- Slack, J. D., and J. M. Wise. 2005. "Introduction" and "Section I: Culture and Technology: The Received View," in J. D. Slack and J. M. Wise (eds.) *Culture + technology: A primer*. New York: Peter Lang.
- Warschauer, M. 2004. *Technology and Social Inclusion: Rethinking the Digital Divide*. Cambridge, Mass.: MIT Press.
- Webster, Frank. 2006. *Theories of the Information Society*, 3rd ed. New York: Routledge.
- Winner, L. 1999. "Do Artifacts Have Politics?" in D. MacKenzie and J. Wajcman (eds.) *The Social Shaping of Technology*. 2nd ed. Buckingham: Open University Press, 28–40.
- Zittrain, J. 2008. *The Future of the Internet and How to Stop It*. New Haven, Conn.: Yale University Press.
- Zuckerman, E. 2009. "Social Media In Iran: Lessons Learned." Available at <http://www.boingboing.net/2009/06/21/social-media-in-iran.html>